# გადაწყვეტილება

N გ-22-7/554
08/12/2022

554-გ-22-1-4-202212081446

**რადიომოყვარულ დავით ზაალიშვილისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა
და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისთვის
სახმობის მინიჭების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-22-9/4295, 24.11.22) მიმართა მოქალაქე დავით ზაალიშვილმა (მცხ. მცხეთის რაიონი, სოფელი მუხადგვერდი. არსენა ოძელაშვილი ქ. 45) სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ მოქალაქე დავით ზაალიშვილი არის „C“ კატეგორიის რადიომოყვარული, ყოფილი საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოსიხშირეთა განაწილების, მართვისა და კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მიერ, სახმობი 4L1DZ მინიჭებული ჰქონდა 2000 წლის 31 დეკემბრამდე. რადიომოყვარულ დავით ზაალიშვილს ხელახალი რეგისტრაცია კომისიაში არ გაუვლია.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის $47^1$ მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ $51^5$ მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ კენჭრისყრის შედეგად ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ დავით ზაალიშვილს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად 5 წლის ვადით **2022 წლის 8 დეკემბრიდან 2027 წლის 8 დეკემბრამდე:**

| **რეგისტრაციის №** | **რადიოსადგურის მფლობელი** | **რადიოსადგურის განთავსების ადგილი** | **სახმობი** | **კატეგორია** |
|---|---|---|---|---|
| **C - 161** | დავით ზაალიშვილი | მცხეთის რაიონი, სოფელი მუხადგვერდი. არსენა ოძელაშვილი ქ. 45 | **4L1DZ** | **„C“** |

2. რადიომოყვარული დავით ზაალიშვილი, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების მოქალაქე დავით ზაალიშვილისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მოქალაქე დავით ზაალიშვილისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი